

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის
თეატრალური ხელოვნების განვითარების
ფ ო ნ დ ი
Tumanishvili Theatre Foundation

ქართული პიესა
2015

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2016

ირაკლი ცხადაია

ჯუპრში

მოქმედი პირნი:

სანდრო – 16 წლის
მამა – დიმიტრი, 45 წლის
მერი – სანდროს ძიძა, 38 წლის
ანა-მარია – მერის შვილი, 5 წლის
(შესაძლებელია არ გამოიყენოთ სპექტაკლში)

(სცენა გადაკეთებულია კეთილმოწყობილ ოთახად, სადაც ავეჯი და ყველა ნივთი ძვირად ღირებულია, მარცხენა კუთხეში აქვს ერთი კარი, საპირფარეშოში გასასვლელი, მარჯვნივ მეორე კარი, სხვა ოთახიდან შემოსასვლელი, რომელიც შიგნიდან არ იღება. შუა კედლის ცენტრში მრგვალი ღია უსარკო ფანჯარა, ადამიანის თავის ქალის ზომის. კედელში ჩაშენებული თაროები, სადაც წიგნები აწყვია. ტყავის სავარძელი, ხის საწოლი, ხის მრგვალი მაგიდა. ხის ორი მძიმე სკამი. ოთახი ყველა კუთხეში ერთნაირად განათებულია).

სანდრო იღვიძებს, შემოდის მამა ალუმინის ფოდნოსით ხელში, ყველა ჭურჭელი ალუმინისაა.

მამა: დილამშვიდობის.

სანდრო: დილა? *(წყენით)*

მამა: რა?

სანდრო: შენ დილა ახსენე, როგორია დილა? *(პაუზა)*

მამა: ვატყობ, ცუდ ხასიათზე ხარ. სუპი მოგიტანე, სულ უძვლო ხორცი აქვს, მე თვითონ მოვამზადე, შენ როგორც გიყვარს, ისე.

სანდრო: გუშინ, ამ ფანჯრიდან რაღაც შემოფრინდა.

მამა: რამე ხო არ დაგიშავდა, მოდი აქ, მაჩვენე, ხო არ გიკბინა?

სანდრო: დამშვიდდი, არაფერი მჭირს... ფერადი იყო, ორი თხელი ფრთა ჰქონდა, ისეთი მსუბუქი იყო, თითქოს დაშვება უფრო ურთულდებოდა, ვიდრე ფრენა. ისეთივე ფერის ფრთები ჰქონდა, როგორიც შენი თვალებია, შავი. და წითელი ლაქები, არ ვიცი, როგორი წითელი... აქ იჯდა, დიდხანს ვაკვირდებოდი. მერე ვკითხე რაღაც, არ მიპასუხა. თუმცა არა – მიპასუხა. ვსაუბრობდით, ის ჩუმად იყო. მერე აფრინდა, ოღონდ უკვე ასეთი მსუბუქი აღარ იყო, ჰაერში გაქვავდა და დავარდა. *(ხელებს გაშლის და მამისკენ გაიწვდის).*

მამა *(აღელვებული):* ეს რა არის, მაჩვენე. კიდევ კარგი, რამე არ დაგიშავდა.

სანდრო: შეგიძლია მითხრა, რა ჰქვია?

მამა: არა, თავიდანვე ვფიქრობდი, ეხლა ნამდვილად

ამოვქოლავ ამ ფანჯარას.

სანდრო: არა, გთხოვ, ეს არ გააკეთო, მე არაფერი მომივა... ჭამას არ ვაპირებ, შეგიძლია წაიღო.

მამა: კარგი, გავიტან, თუმცა შენი წყენის მიზეზს ვერ ვხვდები.

სანდრო: ვიცი, რომ გეშინია, მაგრამ მე აქ მარტო ვგრძნობ თავს. გარეთ გასვლა მინდა, ის ადგილი მინდა ვნახო, თუ საიდან შემოფრინდა ის. სხვა ადამიანებიც ხო არსებობენ, მათი ნახვა მინდა, მინდა მათი ხმა გავიგო,მინდა მომიყვნენ რაღაცეები, როგორც შენ მიყვები, მინდა ვნახო როგორ გამოიყურებიან. მე ძალიან ცოტა ვიცი, მინდა მეტი გავიგო, მე ეს მჭირდება, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობ, რომ მჭირდება.

მამა: პეპელა.

სანდრო: რა?

მამა: პეპელა ჰქვია იმას,რაც ხელის გულებში გაქ. სათუთად უნდა გეჭიროს, თუ გინდა მისი სილამაზით დატკბე.მათ ძალიან ცოტახანს შეუძლიათ არსებობა,ზოგი ამბობს, მხოლოდ ერთი დღე ცხოვრობენ და იღუპებიან, შენ კი მისი სიკვდილის მომსწრე გახდი (*გამოერკვევა*)... მალე დავბრუნდები, ბოლოს და ბოლოს რევანში ხო უნდა აიღო... შეგიძლია მომცე, წავიღებ?!

(სანდრო ცოტახანს უყურებს მკვდარ პეპელას შემდეგ მამას აწვდის, მამა გადის. სანდრო მაგიდას უახლოვდება ჭადრაკის ასაღებად. ჭადრაკის დაფას მაგიდაზე გაშლის, ფიგურებს დაალაგებს. მამა შემოვა, სანდროს ორივე ხელში პაიკი უჭირავს, შავი და თეთრი, შეკრული მუშტებით გაიწვდის მამისკენ, მამა მარჯვენა მუშტზე დაადებს ხელს, საიდანაც ბიჭი შავ პაიკს დაანახებს, ჭადრაკის დაფას შემოატრიალებს და იწყებენ თამაშს)

მამა: მზად ხარ დამარცხებისთვის?

სანდრო: შენ ემზადები ხოლმე ამისთვის?

(სანდრო იწყებს თამაშს, რამდენიმე სვლას სწრაფად აკეთებენ, დიალოგი მიმდინარეობს თამაშის დროს)

მამა: ეს ფიგურები, რომლითაც შენ თამაშობ, თითოეული

სამყაროს იმ საშიშროებას წარმოადგენს, რომელიც შენ გარეთ გელოდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ შენ ჩემი ფიგურა ხარ, ვთქვათ, მეფე, გამოდის, რომ მე ეტლი ვარ, რომელიც გიცავს ამ კონკრეტულ სიტუაციაში ასე. როქი *(აკეთებს როქს).*

სანდრო: მეფე?.. ამ ფიგურას ხომ დამოუკიდებლად არაფერი შეუძლია, ის საკუთარ ბედს ვერ წყვეტს, მე არ მინდა მასავით უმოქმედო და სხვაზე დამოკიდებული ვიყო, საერთოდ არც ის მინდა, რომ ვინმე მიცავდეს. თუ მე თვითონ ვიბრძოლებ ჩემი თამაშის მოსაგებად, აი ლაზიერი ვიქნები და რომც წავიქცე, ჩემს შესაძლებლობებს უფრო მეტად გამოვიყენებ დაფაზე გატარებულ თუნდაც მცირე დროში.

მამა: ხო, მაგრამ შენ ხომ რისკზე საუბრობ, დიდი საშიშროების ქვეშ ყოფნაზე. აქ სიცოცხლეა მთავარი.

პაუზა

სანდრო: არა, არ არის, თან მე თავისუფლებაზე ვსაუბრობ. *(თამაში გრძელდება ჩუმად, სიჩუმეს სანდრო არღვევს)*

სანდრო: მას რა უქენი?

მამა: ვის?

სანდრო: პეპელაზე გეკითხები.

მამა: ფანჯრის რაფაზე დავდე, გარეთა მხრიდან.

სანდრო: ფანჯრის რაფაზე? *(პაუზა)*

მამა: *(იბნევა)* ხო... ვიფიქრე, იქ ჯობდა მისთვის, ალბათ მზე მტვრად აქცევს და ქარი გაფანტავს, რომ სულ იფრინოს ჰაერში გაფანტულმა პატარა ნაწილაკებად, რომ მისი მშვენიერებით სუნთქვამ ერთხელ მაინც გაგაღიმოს, ძველებურად, დილით რომ ოთახში შემოვალ შენთან. *(გაუღიმებს შვილს, პაუზა)*

სანდრო: მამა, მახსოვს, მიყვებოდი, ბავშვობაში ლექსებს ვწერდიო.

მამა: ჰო, იყო დრო.

სანდრო: ისე პოეტურად მოიტყუე, გამახსენდა. *(პაუზის შემდეგ გაიცინებენ)*

სანდრო: შეგიძლია, კიდევ რამე მომიყვე პეპლების შესახებ?

მამა: შენ რა გაინტერესებს?

სანდრო: არ ვიცი, მაგალითად... როგორ იბადებიან?

მამა: ბევრი არაფერი ვიცი მათ შესახებ... პატარა კვერცხებიდან იბადებიან თავიდანვე პეპლებად არა, სხვათაშორის. ცხოვრების დიდ ნაწილს მუხლუხოებად ატარებენ, ეს საშინელი არსებაა, გრძელი ბუსუსებიანი არსება, რომელიც სულ დახოხავს...

სანდრო: რატომ არ დაფრინავს?

მამა: ფრთები არა აქ, ხოხვის მეტი არაფერი შეუძლია, დიდხანს ასე ცხოვრობს, შემდეგ საკუთარი სხეულის გარშემო გარსს იკეთებს, ჭუპრად იქცევა და იქიდან კი პეპლად ევლინება სამყაროს და ფრენაც შეუძლია. ვფიქრობ, ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მთელი ცხოვრება ცოცვის შემდეგ, მკვეთრად იგრძნონ,როგორია ფრენა.

სანდრო: მათ შეუძლიათ ადამიანებს შთააგონონ, მიზნისკენ სწრაფვა... რას იტყვი?

მამა: ვიტყვი, რომ შენ ზედმეტად ჭკვიანი ხარ თექვსმეტი წლის ბავშვისთვის. ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ხომ არ კითხულობ?

სანდრო: თაროზე ერთი წიგნი ვიპოვე, კაცზეა, რომელიც უკაცრიელ კუნძულზე მოხვდება სულ მარტო.

მამა: რობინზონ კრუზო? საინტერესო წიგნია, დაასრულე კითხვა?

სანდრო: ჯერ არა, ჯერ იქ ვარ, აი სულ მარტო როა და ხმის გამცემი არავინ ჰყავს და უაზრო რაღაცასთან საუბრობს... *(პაუზა)*

მამა: რატომ მოიწყინე?

სანდრო: პეპელაზე დავფიქრდი, რაც წამიკითხავს და მოგიყოლია მის შესახებ, არსად არაფერი გამიგია, უბრალოდ გული მწყდება, რომ აქამდე არაფერი ვიცოდი მის არსებობაზე. *(სიჩუმეში ჭადრაკის ფიგურების დაფასთან კაკუნი ისმის)*

მამა: *(ღიმილით ყვება, თან თამაშს აგრძელებს და დაფას თვალს არ აცილებს)* დილით ხორცზე რომ გავედი მაღაზიაში, ერთ ქალბატონს დახლთან რიგი დავუთმე,

შინ დაბრუნებისას დამემგზავრა. აღმოჩნდა, რომ ჩემი ძველი ნაცნობია. ჩემი კლასელი იყო, უნივერსიტეტშიც ერთად ვსწავლობდით. თავიდან ვერაფრით ვიცანი, შემდეგ გავიხსენე, რამდენი დრო გავიდა მას მერე *(ჩაფიქრდება)*... ერთი გზა გვქონია, მეტიც, აქვე ჩვენს მეზობლად ცხოვრობს. ახლახან გადმოსულა და სამსახურს ეძებს. შახ... *(ურთულდება საუბარი)* დილით შენთან საუბრის შემდეგ ვიფიქრე, სამსახური ხომ არ შემეთავაზებინა-მეთქი. ისევ შახ... მე ყოველთვის ვერ გაქცევ ყურადღებას, სახლსაც ხომ უნდა მოუაროს ვინმემ. მოკლედ, მინდა, რომ შენს ძიძად ავიყვანო, თუ, რა თქმა უნდა, დათანხმდა და შენ არ იქნები წინააღმდეგი. არ ვიცი, იქნებ თვლი, რომ არ არის საჭირო. შამათი!.. *(მცირე პაუზა)*

სანდრო: რა...

მამა: რას ვიზამთ, ისევ მოვიგე.

სანდრო: რაა... მაგარია! *(აღტაცებული დგება და მამას ეხუტება)*

მამა: ჯერ არ მინახავს, ვინმეს წაგება ასე გახარებოდეს.

სანდრო: მე ძიძა მეყოლება? მე ვინმესთან საუბარს შევძლებ, სხვა ადამიანს შევხვდები, შევეხები. რა მაგარია, მამა. გთხოვ, რაც შეიძლება მალე მოიყვანე, ვერ ვითმენ, ერთი სული მაქ, როდის ვნახავ.

მამა: კარგი, კარგი ხო... დღეს საღამოს დაველაპარაკები, მაგრამ იქნებ მაინც ცუდი აზრი იყოს, ჰა?

სანდრო: არა, მამა, ასე არასდროს არაფერი გამხარებია. როგორ მაინტერესებს, როგორი ხმა აქვს, როგორ გამოიყურება, როგორ აცვია... მაინტერესებს, რა ფერის თვალები აქ... მამა, რა ქვია მას?

მამა: მას მერი ქვია, ახლავე!.. რატომაც არა, ახლავე მოვუყვები, თუ როგორი გახარებული ხარ ამ ამბით და არა მგონია, უარი თქვას... სხვათაშორის, ისევ მოვიგე და ჯობს თამაში ისწავლო, ამდენი გამარჯვებაც დამღლელია ბოლოს და ბოლოს! *(სიცილით გადის)*

(შუქი ქრება, შუქის ანთების დროს სანდრო ფანჯრიდან გახედვას ცდილობს, ფეხის ცერებზეა აწეული. კარები იღება)

მამა: აქეთ მობრძანდით...

(ოთახში შემოდის მერი, ღიმილიანი მზერით. როდესაც დაინახავს სანდრო, ღიმილი გაკვირვებაში გადაეზრდება, სანდრო თვალს არ აცილებს მას და ხმას არ იღებს).

მერი: *(დაბნეული)* ეს არის სანდრო?

მამა: დიახ, ეს არის ჩემი შვილი.

მერი: მეგონა უფრო პატარა იქნებოდა.

მამა: ყველაფერი არც ისე მარტივადაა, უბრალოდ, მინდოდა ჯერ თვითონ შეხვედროდი მას და შემდეგ მიგეღო გადაწყვეტილება... სანდრო. არ მიესალმები ქალბატონს?

(პაუზა)

სანდრო: გამარჯობათ! *(თვალს არ აცილებს მას).*

მერი: გამარჯობა!

მამა: აქ დაბრძანდი, ჩაის მოგიტან, ხო დალევ?

მერი: რა?... კი, დიახ. *(დაბნეული პასუხობს და სკამზე ჯდება მაგიდასთან, სანდროც მასთან ერთად ჯდება)*

მამა: მე ცოტა ხნით დაგტოვებთ. თუ რამე მოგინდება,კარზე დააკაკუნე და გავაღებ. *(გადის, მერი თვალს ადევნებს მის გასვლას)*

მერი: ეს... ეს მომესმა თუ შენც გაიგე?

სანდრო: რაზე მეკითხებით?

მერი: კარი რა, ჩაკეტილია?

სანდრო: კი. *(პაუზა)*

მერი: აჰა. მითხარი ერთი, რამდენი წლის ხარ?

სანდრო: თექვსმეტის.

მერი: და ძიძა რაში გჭირდება?

სანდრო: ძიძა არ მჭირდება.

მერი: საერთოდ დავიბენი... ასე რატომ მიყურებ?

სანდრო: დიდი ბოდიში, *(მზერას მოაცილებს)* უბრალოდ ,მამაჩემის მეტი არავინ მყავს ნანახი ასე ახლოდან.

მერი: რა?

სანდრო: მას არ მოუყოლია?

მერი: არა.

სანდრო: მამას ეშინია ჩემი გარეთ გაშვების.

მერი: რა? რამდენი ხანია აქ ხარ?

სანდრო: ამ ოთახს იქით არასდროს გავსულვარ. შეიძლება რამე მომივიდეს.

მერი: რა უნდა მოგივიდეს?

სანდრო: თუ ჭრილობა მივიღე, ჩარევის გარეშე არ მიხორცდება, ჩემს სისხლს არ შეუძლია შედედება და ადვილად იკიდებს ინფექციას. პატარა ჭრილობაც რომ მივიღო, შეიძლება მოვკვდე.

მერი: არასოდეს მსმენია ასეთი დაავადების შესახებ. მოიცა, ესე იგი შენ ეთანხმები მამაშენს, რომ ამის გამო აქ უნდა გაატარო მთელი ცხოვრება.

სანდრო: კი. ადრე სახლის სახურავზე ავყავდი ხოლმე... მაგრამ ერთხელ დამსხვრეულ შუშაზე ფეხი გავიჭერი, ძლივს გადავრჩი, მამა რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი... მას მერე არ ავუყვანივარ. *(პაუზა)* დღეს პარასკევია არა?

მერი: ხო?

სანდრო: შეიძლება პარასკევა დაგიძახოთ?

მერი: მე მერი მქვია.

სანდრო: ვიცი, მამამ მითხრა, უბრალოდ, რობინზონი როდესაც პირველად შეხვდება უკაცრიელ კუნძულზე ადამიანს, მაშინაც პარასკევია და ის მას პარასკევას დაარქმევს. *(პაუზა)*

მერი: (*აღელვებული*) ეს ხომ არასწორია, ასე არ შეიძლება, იქნებ გიმკურნალოს ვინმემ... ეს ხომ!.. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. თავისუფლების აღკვეთაა *(დგება და თანდათან უკან იხევს, ამ დროს კარში მამა შემოდის, ლანგარით ჩაის შემოსატანად)*

მამა: *(კარშივე ამბობს)* აი თქვენი ჩაიც მზადაა. *(მერი ბრუნდება და ეჯახება მას, დიმიტრის ლანგარი ხელიდან უვარდება, არც ერთი ჭურჭელი არ იმსხვრევა დავარდნისას, ორივენი დაცვენილ ჭურჭელს აკვირდებიან, შემდეგ მერი დიმიტრის ახედავს)*

მერი: შენ გიჟი ხარ! *(ოთახიდან გადის)*

მამა: რა უთხარი ასეთი?

სანდრო: არ ვიცი, ისეთი არაფერი. *(შუქი ქრება)* *(შუქის ანთებისას ოთახში შემოდის მერი).*

მერი: არ ვაპირებდი აქ დაბრუნებას, მამაშენმა მითხრა, როგორ მოიწყინე და თხოვე მას, რომ დაეძახა ჩემთვის.
სანდრო: დიახ. იცით, ძალიან მომწონხართ და მინდა, რომ ჩემთან იყოთ ხოლმე.
მერი: ხო მაგრამ ვთვლი, რომ შენ აქ არ უნდა იყო გამოკეტილი და მითუმეტეს – მეც შენთან ერთად.
სანდრო: მე გითხარით, რომ ვეთანხმებოდი მამას, მაგრამ ეს ასე არ არის. მეც მინდა გარეთ გავიდე და ვნახო, როგორია იქ. უბრალოდ გამიგეთ, ის მამაჩემია.
მერი: მას არა აქ უფლება, აქ გამოგკეტოს მთელი ცხოვრება მისი ახირების გამო. ესე არ შეიძლება!
სანდრო: დედაჩემი იმ დღეს გარდაიცვალა, როდესაც მე დავიბადე, ესე თუ შეიძლება?
მერი: თავს ხო არ ადანაშაულებ ამაში?
სანდრო: არა, უბრალოდ, არ მინდა, მამას ისევ ეტკინოს.
მერი: ეს ხომ შენი ცხოვრებაა, როგორ აპირებ მის გატარებას, აქ ამ ოთხ კედელში, მარტო?
სანდრო: იმედი მქონდა, თქვენ მაინც იქნებოდით ჩემთან.
მერი: მე ხომ აქ ვერ ვიქნები მთელი დღეები. მეც მყავს ხუთი წლის სულ პატარა გოგონა, ახლა დედაჩემთანაა. უბრალოდ, სხვა გზა არ მაქვს, ფული მჭირდება, რომ ის აღვზარდო და იცი რა, მე მას არასოდეს არ გამოვკეტავდი ასე.
სანდრო: რას იზამდით, თუ გეცოდინებოდათ, რომ მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დგას?
მერი: რა თქმა უნდა, ყველაფერს ვიზამდი მის გადასარჩენად.
სანდრო: თქვენ ისევე გიყვართ ის, როგორც მამაჩემს – მე.
მერი: ეს სხვა... *(პაუზა)*
სანდრო: რა ქვია მას?
მერი: ანა-მარია.
სანდრო: ორი სახელი აქვს?
მერი: ეს ერთი სახელია, უბრალოდ...
სანდრო: ანა-მარია, ლამაზი სახელია, თქვენ დაარქვით?
მერი: არა მამამისმა.
სანდრო: სად არის ის?

მერი: დიდიხნის წინ წავიდა... ასე, უბრალოდ, ადგა და წავიდა.

სანდრო: სად წავიდა?

მერი: არ ვიცი... ჩვენგან წავიდა.

სანდრო: რატომ, არ უყვარდით?

მერი: *(დაბნეული)* არ ვიცი, ალბათ ვუყვარდით, უბრალოდ, ესეთია ცხოვრება. სინამდვილეში, რაც ამ ოთახს გარეთ არის ყველაფერი მშვენიერი არაა, შეიძლება ითქვას, რომ მამაშენი მართალიც კია, რომ არ გაძლევს გარეთ გასვლის ნებას *(გაიცინებს)*... ეს სამყარო სავსეა ტკივილით. ეხლა დავფიქრდი, იქ მზის ამოსვლის შემდეგ ყველაფერი სანაგვედ იქცევა, არავინ უყურებს მზეს, არავის სცალია ამისთვის. ყველა ყიდის და ყიდულობს, ზოგი იპარავს, ზოგი ითხოვს და ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილით არ მოკვდეს. რადგან სახელმწიფოში ადამიანის სიცოცხლის მნიშვნელოვნება გადასახადებზეა დამოკიდებული... ვარსკვლავებიანი ღამის ქვეშ არავინ სეირნობს მაღლა აწეული კისრით, მხოლოდ ძირს იყურება, რადგან იმედი აქვს, რომ გაუმართლებს და ქუჩაში ვიღაცის შრომით მოპოვებულ ხურდას იპოვის. ასე რომ ვერ ამჩნევს, როგორი ლამაზია გზა, მის პირდაპირ, რომელიც უსასრულოდ მიდის და ვიღაც ფერად კაბაში ჩაცმული მიუყვება მას, თუნდაც წვიმაში ანათებს სიცილით, მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლე უხარია. ვერ ამჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ის ვიღაც მისი ქალიშვილია, რომელიც უკვე გაიზარდა და თავის გზას დაადგა. ვერ ამჩნევს ვერაფერს, გარდა იმისა, რაც ბინძურ ასფალტზე გდია. და იცი რა ხო მამამისს ჩვენ არ ვუყვარდით, ამიტომაც ის ვერასდროს დაინახავს თავისი შვილის ღიმილს და ვერ მიხვდება, რა დაკარგა. ალბათ ვერც ვერასდროს გაარჩევს რა ჯობდა, ბინძური კუპიურები, გაქვავებული კაცების პორტრეტებით, თუ სიცოცხლით სავსე ქალიშვილის სახე. *(პაუზა)* მაპატიე... უნდა წავიდე. *(კარებზე აკაკუნებს)*

სანდრო: აღარ დაბრუნდები?

(მამა უღებს მერის კარს, მერი გაიღიმებს და გავა)

(შუქი ქრება, ისმის ჭადრაკის დაფაზე ფიგურების ხმა... ანთებისას ოთახში მამა და სანდრო თამაშობენ ჭადრაკს)

სანდრო: შამათი.

მამა: ერთი წუთით... მოიცა, რა?.. ეს... ხო მაგრამ...

(ოთახში შემოდის მერი, მამა ისევ აკვირდება ჭადრაკის დაფას, ცდილობს გამოსავალი იპოვოს. სანდო დგება და მერიც ეხუტება)

სანდრო: პარასკევა! ეს ორი დღე სად იყავი? შენს არ ყოფნაში მამას ჭადრაკი მოვუგე.

მერი: ანა-მარიას მაღალი სიცხე ჰქონდა და ვერ დავტოვე... მოუგე? მართლა? ყოჩაღ! მართალს ამბობს?

მამა: ნუ, მთლად მასეც ვერ... ხო, მართალს ამბობს. ანა-მარია როგორ არის?

მერი: ახლა უკეთ, სიცხემ დაუწია. დამარცხებული ჩაის მოგვიტანს?

მამა: მოგიტანთ. *(გაბრაზებულად ამბობს და გადის)*

მერი: აბა როგორ ხარ?

სანდრო: კარგად, ცოტა არ იყოს, მოვიწყინე უშენოდ, მაგრამ შენ რომ ჟურნალი მომიტანე, იმას ვათვალიერებდი.

მერი: რამე საინტერესო იპოვე?

სანდრო: კი, იქ ბევრი სანტერესო რამე ეწერა. განსაკუთრებით მოდის სტატიებმა დამაინტერესა. ძალიან სასაცილო ტანსაცმლებს კერავენ, ესეთი რაღაცეები მართლა აცვია ხალხს? აი სურათებს გაჩვენებ... ნახე, როგორი ქუდი ახურავს, ზღარბს გავს... ან ეს, თეთრ შარვალში ჯამბაზივით როა გამოწყობილი.

მერი: ეს ხომ ყველაზე მოდური დიზაინერის შეკერილია?

სანდრო: ხო, იქაც ესე ეწერა.

მერი: ნუ, ისე მართალი ხარ, ნამდვილად სასაცილოა.

სანდრო: მეც მინდა ტანსაცმლები შევკერო!.. ამათზე უკეთესად მაინც გამომივა. უკვე რაღაცეები მოვიფიქრე კიდევაც. შეგიძლია მასწავლო, როგორ უნდა?

მერი: გინდა, რო კერვა გასწავლო?

სანდრო: ხო, რატომაც არა?

მერი: მეც არ ვიცი კარგად...

სანდრო: გთხოვ, გთხოვ!
მერი: ნუ, კარგი ხო, მერე გასწავლი აუცილებლად.
სანდრო: მპირდები?
მერი: გპირდები. *(სანდრო ისევ ჩაეხუტება მას)* პირობაზე გამახსენდა, რადაც მოგიტანე.
სანდრო: მართლა? *(მერი ჯიბიდან დასაკეც სარკეს ამოტანს და მისცემს მას)* ეს რა არის?
მერი: გახსენი, სარკეა! *(პაუზა)* რატო არ ხსნი?
სანდრო: მას შემდეგ, რაც სააბაზანოში სარკე გავტეხე, არ მინახავს, როგორ გამოვიყურები. მამამ, ხო ხვდები... მხოლოდ თეფშების ანარეკლზე ბუნდოვნად ვხედავდი ჩემს თავს.
მერი: მერე რას ელოდები, ამიტომაც მოგიტანე.
სანდრო: მეშინია.
მერი: რისი გეშინია?
სანდრო: რომ არ მომეწონოს?
მერი: რა არ მოგეწონოს?
სანდრო: ჩემი თავი.
მერი: გამორიცხულია არ მოგეწონოს.
სანდრო: რატომ?
მერი: იმიტომ,რომ ძალიან სიმპათიური ხარ. როგორ უძლებ ცდუნებას, ეს თვალები არ ნახო ხოლმე?
სანდრო: მართლა სიმპატიური ვარ?
მერი: აბა რა. 6 თვის წინ აქ რო მოვედი პირველად და გნახე, ხო გახსოვს ის დღე?
სანდრო: მაგას რა დამავიწყებს?
მერი: მაშინ პირველად რო შემოგხედე,შენი თვალები დავინახე, მეტყველი თვალები, რომელიც მე მომშტერებოდნენ, ამიტომაც გადავწყვიტე დარჩენა, და უკვე დიდი ხანია აქ ვარ. როგორ უნდა გავძლო მათ გარეშე, უკვე აღარ ვიცი. *(იცინის)*
სანდრო: მართლა?
მერი: ხო, მიდი, გახსენი, თუ გინდა, დაგეხმარები. თვალები დახუჭე. *(ხსნიან სარკეს)* ეხლა კი ნელა გაახილე. *(სანდრო საკუთარ გამოსახულებას ამჩერდება, დეტალურად აკვირდება თითოეულ ნაკვთს, სერიოზული მზერით.*

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ნელ-ნელა ელიმება)

სანდრო: მომატყუე ხო?

მერი: რა, არა?!

სანდრო: როგორ არა, მითხარი სიმპატიური ხარო, მე კიდევ სასაცილო სახეს ვხედავ. რომელიც სულელივით ბედნიერია საკუთარი თავის დანახვით. მაინც მადლობა.

მერი: რისთვის?

სანდრო: იმისთვის, რომ მთელი სამყარო ამ ოთახში შემომიტანე. *(ხმაურიანად კეცავს სარკეს და შუქიც ქრება)*

(სანდრო და მერი გვერდიგვერდ სხედან, ფერადი ნაჭრები უჭირავთ და მერი კერვას ასწავლის)

მერი: მე მგონი, ჯობია, სხვა რამე ისწავლო.

სანდრო: რატომ, მე მომწონს ამის კეთება.

მერი: ხო, თუმცა რთულია ასე სწავლა, თან ნაჭრების დაკერებას საკერავი მანქანა სჭირდება. უბრალოდ, დიდი ნემსით ვერ შევძლებთ, რამე კარგად შევკეროთ. მე მგონი, მთლად უსაფრთხოც არ უნდა იყოს.

სანდრო: როგორ არა, აი ნახე თუ არ შეიძლება, აი ასე უნდა შეკერო.

მერი: ნიჭიერი მოსწავლე ხარ, თუმცა, არ მგონია, კარგი მასწავლებელი ვიყო.

სანდრო: შენ ხომ ყველაფერი მასწავლე. ყველაფერი, რაც იქ ხდება. მე ისიც კი არ ვიცოდი, როგორ ცხოვრობს ხალხი.

მერი: ეხლა საიდან იცი?

სანდრო: შენ მათსავით ცხოვრების უფლებას მაძლევ, მასწავლი მათ ჩვევებს, მათ ყოველდღიურობას. სიმართლე გითხრა, შენი ჩემთან მოსვლის მერე ვიგრძენი, რომ მეც სრულყოფილი ადამიანი ვარ. მამა სულ მასწავლიდა რაღაცეებს, თუმცა ეგ სულ სხვა რამ იყო, შენ კიდევ... შეგიძლია კიდევ მასწავლო ისეთი რამ, რაც თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავია და მე ჯერ კიდევ არ ვიცი ამის შესახებ.

მერი: არ ვიცი, ესეთი რა უნდა იყოს.

სანდრო: ჩემხელა რო იყავი, რას აკეთებდი ხოლმე?

მერი: სკოლაში დავდიოდი, ვსწავლობდი, თან ამ ასაკში უკვე ვყალიბდებოდი ქალად, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა, ბიჭებს ვეპრანჭებოდი. უი, კიდევ ცეკვაზე დავდიოდი. იცი ცეკვა?

სანდრო: არა, რაღაც წამიკითხავს ცეკვაზე, თუმცა, სიმართლე გითხრა, აზრზე არა ვარ ეს რა ჯანდაბაა.

მერი: რვა წელი ვცეკვავდი, ვმღეროდი კიდევაც, ბარშიც გამოვდიოდი სტუდენტობისას, ჯიბის ფულს ამით ვშოულობდი.

სანდრო: არასოდეს არ მომისმენია, სასიამოვნო უნდა იყოს ალბათ.

მერი: რაზე ამბობ?

სანდრო: არასოდეს მომისმენია სიმღერა.

მერი: ღმერთო ჩემო, ხო, შენ ხომ არასოდეს მოგისმენია, არც არასოდეს გიცეკვია, *(პაუზა)* მახსოვს, მეუბნებოდი, მამა სხვადასხვა ენას მასწავლიდაო, ინგლისურსაც სწავლობდი ხო?

სანდრო: კი, ინგლისური ვიცი.

მერი: და მამას არ უთქვამს, რაში უნდა გამოგეყენებინა ინგლისურის ეს ცოდნა?

სანდრო: არა!

მერი: არაუშავს, ეხლა გამოგადგება. არ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ ვიმღერებდი. *(ფეხზე დგება და იწყებს სიმღერას – Somewhere Over The Rainbow-ის ლირიკულ ვერსიას, ცოტა ხნის შემდეგ მუსიკის ხმა ისმის. მერი წყვეტს სიმღერას, გაოცებულ სანდროს მიუახლოვდება და ცდილობს ცეკვა ასწავლოს)*

მერი: *(ცეკვას მორჩებიან)* არ მოგეწონა არა ჩემი ნამღერი?

სანდრო: ეს ყველაზე ლამაზი რამ იყო, რაც კი საერთოდ მომისმენია... მინდა, რომ ხშირად იმღერო ხოლმე.

მერი: კიდევ რამდენი რამ არ იცი.

სანდრო: პარასკევა, შეგიძლია პირობა მომცე?

მერი: რა პირობა?

სანდრო: პირობა მომეცი, რომ ერთხელ მანახებ შენს სამყაროს.

მერი: მამაშენი ამის წინააღმდეგია ხო იცი?
სანდრო: ხო, მაგრამ შენ ხო შეგიძლია გადაარწმუნო ის.
მერი: მე ამას უკვე ვეცადე, თუმცა არაფერი გამომივიდა. *(კარებიდან ხმა ისმის, სანდრო ნაჭრებს ძაფებს და ნემსს ლეიბის ქვეშ დამალავს, ოთახში შემოვა მამა)*
მამა: აბა რას შვრებით?.. მერი ქვევით რატო ზიხარ? *(პაუზა)* მერი, რამე ხომ არ მოხდა?
მერი: შეგიძლია კარი გამიღო?
მამა: არაფერს მეტყვი?
მერი: უნდა წავიდე!
მამა: ახლავე!
სანდრო: სად მიდიხარ? *(მერი უპასუხოდ ტოვებს სანდროს შეკითხვას, თითქოსდა არ გაუგია და გადის)*
მამა: რამე მოხდა?
სანდრო: არაფერი. *(პაუზა)*
მამა: რამე ხო არ აწყენინე?
სანდრო: არა, მამა!
მამა: მაშინ რატომ...
სანდრო: არ ვიცი, მამა! (*პაუზა)*
მამა: კარგი ხო... ჭადრაკი ხო არ გვეთამაშა?
სანდრო: ახლა არა მამა! *(პაუზა)*
მამა: მაშინ ჩაი ხო არ მოგიტანო?
სანდრო: არა, არ მინდა. *(პაუზა)*
მამა: მაშინ იქნება...
სანდრო: მამა, შეგიძლია გარეთ გამიშვა?
მამა: რა?
სანდრო: შეგიძლია კარი გააღო და გარეთ გამიშვა?!
მამა: ხო, მაგრამ რატომ, არ მოგწონს აქაურობა, რამე გჭირდება, შენ ოღონდ მითხარი და...
სანდრო: გეუბნები კიდევაც, მომეცი გასაღები!
მამა: სანდრო, რაშია საქმე ამიხსენი! თუ რამე გაკლია, მითხარი და ყველაფერს მოგიტან.
სანდრო: არა, არაფერი არ მაკლია, გარდა ცხოვრებისა! *(ხმას უწევს. პაუზა)*
მამა: თექვსმეტი წელი. თექვსმეტი წელი გზრდიდი, გივლიდი, ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ

კარგად ყოფილიყავი. რა არ გქონია ისეთი, რაზეც ზოგიერთი ბავშვები ოცნებობენ. იცი, ბავშვები შიმშილით იხოცებიან ქუჩებში, ყველაფერს მისცემდნენ იმისთვის, რომ შენს ადგილას აღმოჩენილიყვნენ, შენ კიდევ მეუბნები,ცხოვრება მაკლიაო? უმადურად იქცევი შვილო!

სანდრო: ის ბავშვები, ყველაფრის მიუხედავად, თავისუფლები მაინც არიან და არა მგონია, ჩემთვის ადგილი გაეცვალათ, რო გაეგოთ, მთელი ცხოვრება ამ ოთხ კედელში იქნებიან გამომწყდეულები, მამის ახირების გამო!.. *(პაუზა)*

მამა: *(თითქოს საკუთარ თავს ეკითხება)* ახირების გამო?.. ამდენი წელია არ გაგჩენია ეს სურვილი, ეხლა რა მოხდა? ყველაფერი მერის ბრალია, შევცდი, არ უნდა მომეყვანა. ის შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და დაანგრია ყველაფერი.

სანდრო: ის არაფერ შუაშია, მეტსაც გეტყვი ის ერთადერთი კარგი რამ არის ჩემს ცხოვრებაში! *(პაუზა)*

მამა: შენთვის გარეთ გასვლა არ შეიძლება. ალბათ მერე მიხვდები, რომ შენთვის კარგი მინდოდა. შენ არსად წახვალ, ვერც მერის ნახავ ვერასდროს, ალბათ ახლა ვერ გამიგებ, მაგრამ ის ჩვენ არ გვჭირდება, შვილო, ყველაფერი ძველებურად იქნება – მე და შენ. *(ოთახიდან გადის)*

სანდრო: მამა, კარი გააღე, მამა! მერის არაფერი უთხრა, ნუ დამაშორებ მას, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვი, არ წამართვა ჩემი პარასკევა, ოღონდ არ წამართვა. *(ყვირილიდან ჩურჩულში გადასდის ხმა. კარებთან იკეცება და ტირილს იწყებს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დგება,ლეიბის ქვეშ დამალულ ნაჭრებს გამოიტანს, იატაკზე, წინ დაიყრის, იწყებს მათ ერთმანეთზე დაწყობას და დიდი ნემსით (მახათით) კერვას, თითქოსდა თვითონაც არ იცის ,სად უყრის ძაფს, ეტყობა, რომ, გაცოფებულია. მუსიკის ფონზე სცენა ბნელდება და ნაბიჯების ხმა ისმის. მუსიკა სიჩუმეში უჩინარდება და უკვე მხოლოდ ნაბიჯების*

ხმა რჩება, რომელიც უეცრად წყდება, თითქოსდა ვიღაც მივიდა იმ ადგილამდე, სადაც მიდიოდა. ამავდროულად სცენა ინთება და მარჯვენა კართან ჩანს მამა, პაკეტით ხელში, რომელიც კართან დგას, კარს უკან სიბნელეა. მხოლოდ კარი ჩანს სცენაზე და მის წინ გაჩერებული მამა, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, დააკაკუნოს თუ არა. საბოლოოდ აკაკუნებს კარზე, კარს უკან სცენა ინთება და სხვა ოთახი ჩანს, უფრო ღარიბულად მოწყობილი, ოთხში მერი და ხუთი წლის გოგონა სხედან)

მერი: ახლავე... დიმიტრი?!

მამა: არ შემომიშვებ? *(ქუდს მოიხდის, მაგიდასთან დაჯდება, ყურადღებით აკვირდება ოთახს)* ანა-მარია, ლამაზი შვილი გყავს.

მერი: მადლობა, ანა-მარია, შეგიძლია შენს ოთახში შეხვიდე? ჩაის დაგისხამ.

მამა: მადლობა!

მერი: იცი, მე მესმის... არა, არ მესმის შენი! უბრალოდ არ შემიძლია ვუყურო მას, როგორც პატიმარს, ის ყველაზე კარგი ბავშვია. მეც კი სხვანაირად ვგრძნობ მასთან თავს. მინდოდა გამეგო შენთვის, ძალიან ვეცადე, თუმცა ვერ მივხვდი, რა აზრი აქვს დაიცვა ის იმიტომ, რომ უფრთხილდებოდე მის სიცოცხლეს და ამავდროულად ართმევდე მას მთელ სიცოცხლეს? მე არ დავბრუნდები, თუ შენი დღევანდელი ვიზიტის მიზეზი ეს არის, ვშიშობ, უშედეგო აღმოჩნდება. ჯობია, დაფიქრდე და სწორად გადაწყვიტო, რა ჯობია მისთვის.

მამა: ფიქრობ, რომ ვცდები? ამ საშინელი სამყაროსგან მისი დაცვა, ფიქრობ, რომ შეცდომაა? მეგონა, რომ მისთვის სახიფათოა მისი ავადმყოფობის გამო და ყველაფრის მიუხედავად, მას გულსაც ატკენდნენ. მეგონა, ამდენი ხნის შემდეგ მას იმედი გაუცრუვდებოდა, როდესაც რეალურად დაინახავდა, თუ რას წარმოადგენს სამყარო, რომელზეც ოცნებობს, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც შენ გამოჩნდი.

მერი: მე მისთვის ზღაპრებით არ გამომიჭედია ყურები. მე მას ვუყვებოდ, თუ როგორი ბინძური სუნი ექნება მის

სუფთა ჰაერს, თუ რამდენი ცოდვით და ჭუჭყით არის ეს სამყარო სავსე. მან ყველაფერი იცის მის შესახებ, თუმცა მაინც უნდა იქ ყოფნა. იცი მისი ოცნების შესახებ? იცი, რომ მას უნდა მოდის დიზაინერი გამოვიდეს და ლამაზად ჩაგვაცვას ჩვენ, სასაცილოდ ჩაცმულ ადამიანებს? გაინტერესებს, ვფიქრობ, შენ ცდები თუ არა? მე ვფიქრობ, შენ ეგოისტი და ტირანი ხარ! შენ არ გაქ მისი დამწყვდევის უფლება და თუ გონს არ მოეგები, მზად ვარ, სხვა გზით ჩავერიო ამ ამბავში. ღმერთის მაინც არ გწამს? *(პაუზა)*

მამა: დიზაინერობა, არა?

მერი: შენ რა, არ მისმენ?

მამა: მოდის დიზაინერობა.

მერი: ხო და თუ გაათავისუფლებ, ის ამას შეძლებს.

მამა: *(თვალცრემლიანი ყვირის)* ის თავისუფალია!

მერი: რას ნიშნავს ეს?

მამა:ის გარდაიცვალა!

მერი*: (მუხლებში მოიკეცება,სკამზე დაეცემა, აკანკალებული ხმით)* სანდრო...

მამა: ხო. მოხდა ის, რისიც ასე მეშინოდა, რისგანაც კბილებით ვიცავდი მას. ვიჩხუბეთ და ოთახიდან გაბრაზებული გავედი. დილით თითები და ხელის გულები დასისხლიანებული ჰქონდა, ნანემსრებიდან სისხლი კიდევ მოდიოდა. სისხლში ინფექცია შეეჭრა და მოკვდა. შენ მეკითხები, მწამს თუ არა ღმერთის? კი მწამს და სადაც ვნახავ, აი ამ ხელებით დავახრჩობ... უნდოდა, ტანსაცმლები შეეკერა არა? ესეც თქვენი ოცნებები. რაღაც ნემსმა შეიწირა ჩემი შვილი, რაღაც უბრალო ნემსმა.

(მერი მუხლებში ჩაუვარდება მას, ცრემლიანი)

მერი: არ მჯერა, როგორ შეიძლება ის ცოცხალი არ იყოს. მაპატიე, მაპატიე, გთხოვ!

მამა: ადექი, ადექი სწრაფად! შენ სწორად მოიქეცი, მე! ეს მე წავართვი მას სიცოცხლე. შენ კიდევ ასწავლე, რას ნიშნავს იყო ადამიანი. მე მას თექვსმეტი წელი წავართვი და გამოვამწყვდიე. შენ კიდევ სულ ცოტა ხანში

მოახერხე მისი განთავისუფლება. საინტერესოა,რამდენი გვჭირდება ადამიანებს დრო იმის მიღწევისთვის, რომ მოვახერხოთ, გავხდეთ ისეთები, როგორიც ჩემი პატარა სანდრო იყო. მოვახერხებთ კი საერთოდ გაფრენას, ადამიანები, როგორც პეპლები, მიფრინავენ საკუთარი მიზნისკენ, ვიცით, საერთოდ რისთვის ვიბადებით?... ჩემი პატარა პეპელა... საჩუქარი მოგიტანე, მადლობას ნუ გადამიხდი. ეს ჩემი საჩუქარი არ არის. ეს სანდრომ შენი პატარასთვის... მოკლედ, ეს ვიპოვე მის ხელებში და ვიფიქრე, ჯობდა შენთან ყოფილიყო. გაიღიმე და ანა-მარიას მიხედე. სანდრომ შეძლო საკუთარი ოცნების განხორციელება, ის ამ პატარა ყუთშია. (*ქუდს იხურავს და კარს უახლოვდება)* ყველაფერი ოდესმე მთავრდება, მაგრამ მთავარი ის არის, როგორია დასასრული. *(ოთახიდან გადის, მერი დიდხან გაოგნებულია, შემდეგ დიმიტრის დატოვებულ ყუთს ხსნის და იქიდან ანა-მარიას ზომის კაბა ამოაქვს, მკერდზე იკრავს მას და ტირის, ანა-მარია შემოდის ოთახში და მტირალ დედას მოფერებას უწყებს)*

დასასრული